დანართი №4

## მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა

## (ქვეპროგრამის კოდი 06 02 06)

მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა (შემდგომში-პროგრამა) განსაზღვრავს ადგილობრივი ბიუჯეტიდან  მიცვალებულების დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო ხარჯების ანაზღაურების გაცემის პირობებსა და პროცედურებს, მუნიციპალიტეტში წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და გასაცემი თანხის ოდენობას.

### მუხლი 1. პროგრამის მიზანი

გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები ვეტერანების, იძულებით გადაადგილებული პირების/დევნილების, ასევე „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარების და უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო ხარჯების ანაზღაურების უზრუნველყოფა.

### მუხლი 2. დაფინანსების წყარო
გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

### მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა
პროგრამა ძალაშია 2024 წლის პირველი იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

### მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლეები

1. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები გარდაცვლილი ვეტერანების ოჯახის წევრები.
2. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირების/დევნილების ოჯახის წევრები, თუ ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს.
3. „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარები.
4. დამკრძალავი ბიურო (მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უპატრონო მიცვალებულის აღმოჩენის შემთხვევაში).

### მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლეების დაფინანსების ორგანიზება

1. ანაზღაურების მისაღებად მოქალაქე წერილობითი განცხადებით მიმართავს და სრულყოფილ დოკუმენტაციას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს ან შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს. მიღებული დოკუმენტაცია შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურში. „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარების შემთხვევაში ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება მიმართავს სამსახურს. უპატრონო მიცვალებულის აღმოჩენის შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტრო ან სხვა დაწესებულება წერილობით მიმართავს მუნიციპალიტეტის მერს.
2. პროგრამა ითვალისწინებს:

   ა) მიცვალებულის ოჯახის წევრებზე სარიტუალო დახმარებას 350 (სამას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

   ბ) უპატრონო მიცვალებულების სარიტუალო მომსახურების ანაზღაურებას 800 (რვაასი) ლარის ფარგლებში.
3. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით სარგებლობის შემთხვევაში, მოსარგებლეთა მიერ განცხადების წარდგენის ვადად განისაზღვროს გარდაცვალებიდან არაუგვიანეს 60 (სამოცი) კალენდარული დღე.
4. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით სარგებლობის შემთხვევაში, ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, დამკრძალავ ბიუროსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

**მუხლი 6. დახმარების მისაღებად მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტები**

წარსადგენი დოკუმენტები:

ა) დაკრძალვის ხარჯის მიმღები პირის განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;
გ) გარდაცვალების მოწმობის ასლი;
დ) გარდაცვლილი იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მოწმობის ასლი (იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის გარდაცვალების შემთხვევაში);
ე) ცნობა ან/და ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულების შესახებ (იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის გარდაცვალების შემთხვევაში);
ვ) ინფორმაცია/წერილი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლისაგან, შინაგან საქმეთა სამინისტროდან ან სხვა დაწესებულებიდან (უპატრონო მიცვალებულის შემთხვევაში);
ზ) გარდაცვლილი ვეტერანის მოწმობის ასლი;

თ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების წერილი „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარის გარდაცვალების შესახებ;
ი) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტი;
კ) დამკრძალავი ბიუროს ხარჯთაღრიცხვა გაწეული მომსახურების შესახებ (უპატრონო მიცვალებულის შემთხვევაში).

**მუხლი 7. ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფლებამოსილება**

ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური შემოსულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ამზადებს ბრძანების პროექტს მუნიციპალიტეტის მერთან წარსადგენად, ხოლო განცხადებაში/წერილში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმართავს განმცხადებელს/დაწესებულებას, მერის წარმომადგენელს ადმინისტრაციულ ერთეულში ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

**მუხლი 8. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და დაფინანსება**

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებებისა და დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის მიერ წარმოდგენილი გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას და ვიზირებას.
2. დაფინანსების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს (ბრძანებას).
3. საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური თანხას გასცემს უნაღდო ანგარიშსწორებით ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

**მუხლი 9. პროგრამის შედეგის ინდიკატორი**
სარიტუალო ხარჯის დასაფარად გაწეული დახმარება. უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის შემთხვევების რაოდენობა.

**მუხლი 10. პროგრამის შედეგი**
გარდაცვლილი ვეტერანების, იძულებით გადაადგილებული პირების/დევნილების, „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარების ოჯახის

წევრების დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო დახმარება. უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვა